№ 657 კვირა, 18 ოქტომბერი. 1896—1898 კვირა, 18 ოქტომბერი № 657

სტამბა და რედაქცია ტფილისი, სასახლის ქ., სათ.-აზნაურო ქარვასლა.
ხელის-მომწერნი გაზეთის დასაკვეთად მიმართავენ რედაქციას დილის 10—3 საათამდე და საღამოს 6—7 და „წ. კ. საზ.“ წიგნის მაღაზიას.
ხელ-მოუწერავ წერილებს რედაქცია არ ბეჭდავს.
პირის-პირ მოლაპარაკება რედაქტორთან შეიძლება ყოველდღე.
ტელეფონი № 363

# ცნობის ფურცელი

ყოველ-დღიური გამოცემა

გაზეთის ფასი
ერთის წლით 6 მან., ერთის თვით 60 კაპ.
ცალკე ნომერი 3 კაპიკი
ფასი განცხადებისა
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ ვერდზე 10 კაპ., მეოთხეზე—5 კ.

Типографія и Редакція „Цнобисъ Пурцели“ Тифлисъ, Дворцовая ул. д. Дворянства.
Телефонъ № 363



ვასწავლი ფოტოგრაფიულ ხელობას

კურსი 15 მანათი

საწყალ მოწაფეთ უფასოდ

აგრეთვე ვიღებ სურათებს დაკლებულ ფასად; ვადიდებ პატარა სურათს დიდ სურათად, ვბეჭდავ გახსნილ წერილებზე სურათებს (открытое письмо) და სხვა ფოტოგრაფიულ ხელობას ვასრულებ სუფთად და მალე.

ადრესი: მეორე ოვრაჟსკის ქუჩა (მთაწმინდაში) სახლი № 14,

ელისბარ ჯაჯანაშვილი

(6—6)

ექიმი
კ. ი. გძელიშვილი
მიიღებს
ყელისა, ცხვირისა და ყურით ავადმყოფებს.
დილ. 9—11 ს. საღამოზე 5—7 ს.
მიხეილის ქუჩა, ნემეცების ეკკლესიის პირდაპირ.
Докторъ К. И. Гдзелишвили.
Михайловская, противъ кирки.
(100—51)

გიმნაზიაში სწავლა დამთავრებული
ქართველი ქალი
იაფად ამზადებს ორისავე სქესის ბავშვებს ყოველგვარ საშუალო სასწავლებლების დაბალ კლასებში შესასვლელად.
იკითხონ „ცნობის ფურცლის“ რედაქციაში ს. უ.
Окончившая гимназію
ГОТОВИТЪ
за умѣренную плату дѣтей обоего пола въ младшіе классы всѣхъ среднеучебныхъ заведеній.
*Спрасить въ редакціи «Цнобисъ Пурцели».* (10—4)

სამკურნალო და ამბულატორია
ს. ბ. თოფურიასი
ქუთაისში.
სამკურნალოში 50 საწოლია ავადმყოფთათვის. მიიღებიან ავადმყოფნი: შინაგანისა, ნერვების, საქირურგო, თვალისა და დედათა ავადმყოფობისანი,
გადამდებ სენით ავადმყოფნი არ მიიღებიან.
ავადმყოფთ სინჯავენ დილის 11 საათიდგან ნაშუადღევის 3 საათამდე. შინაგან და ნერვების ავადმყოფობას სწამლობს ს. ბ. თოფურია. საქირურგო ავადმყოფობას და სიფილისს ფ. კ. გერრატი.
დედათა ავადმყოფობას მკურნალი ქალი მ. თ. კოგანი.
20 მაისიდამ—დედათა ავადმყოფობის და აკუშერობის D-r ფ. ბაცევიჩი.
თვალების ავადმყოფობას—ი. კ. ვარშავსკი.
ამბულატორიაში არის კაბინეტია საქიმო და საბაქტეროლოგიო გამოკვლევისათვის, ელექტრონით წამლობისათვისა და საქისთვის.
სამკურნალო დირექტორი ს. ბ. თოფურია.
*Лѣчебница С. В. Топуріа* въ Кутаисѣ.

დოქტორი მედიცინისა და ქირურგი
ბენკლევსკი
ავადმყოფებს ღებულობს დილის 9—11 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე.
გრიბოედოვის ქუჩა, არშაკუნისეული სახლი № 30.
Докторъ медицины и хирургъ
БЕНКЛЕВСКІЙ
Грибоѣдовская № 30, д. бывш Аршакуни. (წ.)

ექიმი
კ. მ. ჩიქოვანი
ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილის 11—12-მდე და საღამოს 7—8 საათ.
მიხეილის ქუჩა, № 16.
Докторъ К. М. Чиковани
Михайлов., № 16.

## ახალი ამბავი

*** საქველ-მოქმედო ბაზარი. დღეს, 18 ოქტომბერს, დილის 11 საათიდან, ერევნის მოედანზე, თამამშოვის ქარვასლაში გაიმართება საქველ-მოქმედო ბაზარი, უმწეო ბავშვთა თავშესაფარის და უფასო სასადილოს სასარგებლოდ. ამ ბაზარზე გასასყიდად დანიშნულია 2,000 ნივთი ქველ-მოქმედთა მიერ შემოწირული. ეს საზოგადოება პირველია, რომელიც ტფილისში დაარსდა და უმწეო ბავშვებს შეძლებისა და გვარად ეხმარება. საზოგადოება ყველა ბავშვებს ეხმარება ეროვნების განურჩევლად და ამიტომ სასურველია, რომ გავიხსენოთ უმწეო და საცოდავი ბავშვები და ვისაც კი რამდენიც შეგვეძლება დავეხმაროთ საზოგადოებას, რომ საქველ-მოქმედო ბაზრისაგან იმდენი მაინც შემოვიდეს, რომ რამდენსამე უმწეო და უნუგეშო ბავშვს ცრემლი მოწმინდოს.

*** ცხენის რკინის გზის საქმე. 3 ივნის ქალაქის გამგეობა, როგორც ვუწყით, შეეკითხა რკინის გზათა უსახელო საზოგადოების დირექტორს: 1) რა მოსაზრებით ანგარიშობთ ტფილისის ცხენის რკინის გზის მოგებას 115 ათას მანეთს; 2) ხელშეკრულობის რომლის მუხლის ძალით თხოულობთ, რომ მოგება ერთის წლით ადრე მოგეცეთ ხოლმე და სხ. გუშინ, 16 ოქტომბერს, ტფილისის ცხენის რკინის გზის უსახელო საზოგადოების დირექტორმა შეუთვალა ქალაქის გამგეობას, რომ ზემო აღნიშნულ საგნების გამორკვევა ეხლა სულ მეტია, რადგანაც უსახელო საზოგადოების აზრით ქალაქს ამ ჟამად ნება არა აქვს გამოისყიდოს რკინის გზა, ამიტომ იგი შეუძლებლადა სცნობს გადასცეს ქალაქს ტფილისის ცხენის რკინის გზა.

რაც შეეხება გამგეობის წევრის ქ. ა. ვერმიშევის თხოვნას, რომელიც უსახელო საზოგადოებას რკინის გზაზე მოსამსახურეთა სიასა სთხოვდა, იგი ბატონმა როზიმ უპასუხოდ დასტოვა.

*** აბასთუმნის სასწავლებლის საქმე. კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველს, როგორც გავიგეთ შუამდგომლობა აღუძრავს კავკასიის უმაღლეს მთავრობის წინაშე იმის შესახებ, რომ დაეთმოს აბასთუმანში სასწავლებლის ასაშენებელი ადგილი.

*** ქალაქის მმართველობის რევიზია. ტფილისის ქალაქის მეურნეობის და თვით-მმართველობის მოქმედების ყოველმხრივ გამოსარკვევად, ბ. კავკასიის მთავარ-მართებელმა 16 ოქტომბერს ბრძანება გასცა დაინიშნოს ქალაქის თვით-მართველობის ყველა ნაწილთა რევიზია, რომ სხვათა შორის, შემოწმებულ იქმნეს ფაქტიურად ქალაქის ქონებათა და თანხების მდგომარეობა, მათი ხარჯისა და მოხმარების ანგარიშით, ქალაქის გამგეობის საქმეთა წარმოება, მის ხელქვეით მყოფ დაწესებულებათა და ქალაქის შენობა-მოწყობილებათა მდგომარეობა, მის ხელქვეით მყოფ აღმასრულებელ აგენტების მოქმედება და სხ. რევიზიის მოხდენა მიენდო ტფილისის ვიცე-გუბერნატორს, რომელსაც დასახმარებლად მიეცეს ტეხნიკოსები საგუბერნიო გამგეობიდან და სხვა საჭირო სპეციალისტები.

*** ცხენის რკის გზის საქმე, იმ კომისიამ, რომელსაც მინდობილი აქვს ტფილისის ტრამვაის მოწყობის საქმე, განიხილა გამგეობის წევრის ბ. ვერმიშევის სახელზე წარდგენილი თხოვნები ქალაქს ტრამვაის სამსახურში ჩარიცხვის შესახებ და დაადგინა მიღებულ იქმნენ უკონკურენციოდ ბ. დანდუროვი, თადეოსიანი, ისაკოვი, ალიხანოვი, შახგუბათოვი და ადამიანცი; ხოლო კანტორის გამგენი და მოანგარიშენი მიღებულ იქმნენ კონკურენციით და საკონკურსო გამოცდით საბჭოს დარბაზში, მაგრამ ადვილი მისახვედრია, რომ რაც უნდა კონკურენცია გაიმართოს, ქართველებს მაინც არ გააჭაჭანებენ და არა, უკონკურენციოდ მარტო სომხები მიუღიათ. გარდა ამისა, როგორც „კავკაზიც“ სამართლიანად შენიშნავს, ძნელი სათქმელია გამოცხადდება ვინმე თუ არა ხსენებულ კონკურსზე, მაგრამ ის კი გვგონია, რომ კომისია იმ გზას არ დაადგა, რომელსაც უნდა და-

დგომოდა, და ამიტომ სასურველია, რომ ტრამვაის მოსამსახურე პირთა მიღებაში, როგორც ქალაქის დებულებაც მოითხოვს, აქტიური მონაწილეობა მიიღოს ქალაქის გამგეობამ და საგუბერნიო ადმინისტრაციამაცა.

*** **მატარებლების მოძრაობა ახალ გზაზე.** 15 ნოემბრიდან დაიწყება საქონლისა და სამგზავრო მატარებლების მოძრაობა კავკავის რკინის გზის პეტროვსკ-ბაქოს შტოზე პეტროვსკსა და დარუბანდს შ.-ა.

*** **დაჭრა.** სიღნაღის მაზრის ს. შირაქში ს. ვაქირის მცხოვრებმა ილიკო იასეშვილმა ჩხუბის დროს თოფით დასჭრა ქვემო მაჩხაანის მცხოვრები ილია შიუკაშვილი.

*** **ნიხრის აწევა პურზე.** პურისა და ხორცის გამნიხვრელმა კომისიამ განიხილა ტფილისის მეპურეთა თხოვნა ნიხრის აწევის შესახებ და დაადგინა აწეულ იქმნეს ნიხრი 1-ლ ხარისხის გამომცხვარ პურზე $1/2$ კაპიკით, ხოლო მე-2 და მესამე ხარისხის პურზე $1/4$ კაპიკით.

*** **ქმრისაგან ცოლის გაყიდვა.** „ტფ. ფ."-ში მოყვანილია ერთი გასაოცარი ამბავი: დიდუბეში მცხოვრებს რუსს, მორიგე რაზმიდგან დათხოვნილს ჯარის კაცს ი. კ. მიუყიდნია თავისი კანონიერათ ჯვარ დაწერილი ცოლი ევდოკია ვიღაც გლეხის ი. ს—თვის. ცოლს არამც თუ უარი განუცხადებია, არამედ უთხოვნია ნასყიდობის ქაღალდი კანონიერათ დაესაბუთებინათ. ნასყიდობა დაუწერიათ 100 მან. ვექსილის ღერბის ქაღალდზედ... ქაღალდის შინაარსი შემდეგია: „ათას რვაას ოთხმოცდა თვრამეტსა წელსა, ოქტომბრის სამსა დღესა, მე ამა ქვემორე ხელის მომწერმა, სათადარიგო ჯარის კაცმა ი. კ.-მ პირობით შევეკარი გლეხს ი. ს. შემდეგში: მე, ი. კ.-მ საკმარისათ ვიცხოვრე რა ჩემს კანონიერს ცოლს ევდოკიასთან, გარდავეცემ მას სრულს საკუთრებათ ი. ს—ს, რომ მათ ერთად იცხოვრონ დღევანდელის რიცხვიდგან მათი ცხოვრების მშვიდობიანად აღსრულებამდე მე ამა რიცხვიდან უარს ვყოფ ჩარევას, როგორც მათ მიმავალ ცხოვრებაში, ისე ჩემ კანონიერს, უკვე ი. ს.-ისათვის დათმობილ ცოლს ევდოკიას და ამა პირობის დარღვევისათვის ვალდებულად ვხდი ჩემ თავს პასუხი მივცე ივანეს ვალდებულებით ვემსახურო მას მუშად უსასყიდლოდ".

აღმ[illegible]რცემობაც ამას ჰქვიან!

*** **საბაღოსნო სკოლის საქმე.** 20 ოქტომბერს, კავკასიის სამეურნეო საზოგადოების რჩევა მოხდება, რომელზედაც განხილულ იქნება საპატიო კომისიის მოხსენება დიდუბის საბაღოსნო სკოლის შესახებ. კომისიას ჰქონდა მინდობილი გამოერკვია იმ უწესოებების მიზეზი, რომელიც მოხდა საბაღოსნო სკოლაში გაზაფხულზე და ან რა ზომები უნდა იყოს მიღებული სკოლის მდგომარეობის გასაუმჯობესებლად.

*** **კონდუქტორთა ბრიგადების სადგომი.** ამიერ-კავკასიის რკინის გზის სამმართველოს განზრახვა აქვს მომავალ 1899 წელს მიხაილოვის სადგურზე ააშენოს სადგომები კონდუქტორთა 16 ბრიგადისათვის, რომლებიც ამ ჟამად კერძო ბინებზე ცხოვრებენ სოფ. ხაშურში. ეს მით უფრო საჭიროა, რომ სოფ. ხაშურში უსუფთაობის გამო მუდამ მძვინვარებს სხვა და სხვა გვარი გადამდები სენი. სულ სადგომების ასაშენებლად საჭიროა 1848 ოთხ-კუთხი საჟენი ადგილი.

*** **ქ. გორი. ქალაქის ჩამორჩენა და უსიცოცხლობა.** რაც თავი შემისწავლია, ჩემი სამყოფი ქალაქები, დაბები და სოფლები მომივლია, ყველა ამათვის რაიმე წარმატება და ცვლილება შემიმჩნევია, მაგრამ ჩვენ ქ. გორს კი არაფერი წინ წაწევა არ ეტყობა და თუ რაიმე ცვლილებას ნახავთ აქ, ისიც უკან დაწევისას. ღამის ცხრა საათზედ რომ გაიაროთ ქ. გორში, გეგონებათ სასაფლაოს ბილიკებზედ მივდივარო. ისე არის მიყრუებული აქაური ქუჩები და ადამიანის ნასახსაც კი გარედ ვერსად ხედავთ. ფანრებიც თითო ვერსის მანძილზე საცოდავად ბჟუტავენ დუქნები და მაღაზიები რვა საათზედვე იკეტება. ხიდზედ შედგომის უმალ გესმით მარტო მტკვრის წყნარი დუდუნი და მისგან წალეკილ ბაღჩუნაში ფრიად ხის ფოთლების შრიამული. შიგ ქალაქში კი გესმით სამიკიტნოებიდან არღნის ხმა და მოქეიფე ხალხის ღრიალი: „ამან, ამან ე... გულში დალალმე" და სხვ. ყველა ეს საზარლად ეჩვენება აქ ახლად მოსულს და აქაურობას შეუჩვევარ კაცს და გულზედ მძიმე ბოღმა გაწვება. არ იცის რა გზას მიჰმართოს და რითი გაერთოს; ბიბლიოთეკა და სამკითხველო აქ არ არის, აღარც სახელმწიფო ბაღია, რომ საღამოთი მუსიკის ხმით მაინც დასტკბე და სხ. მამაკაცების გასართობათ ისევ ღვინო უცვნიათ, დედა-კაცებს და თავგამსაღვლელებს კი ლატარია ალეგრი და ტკბილ დუდუკზედ დროს გატარება. როგორ შეგვიძლიათ კრინტი დასძრათ სამკითხველოზე, ბიბლიოთეკაზე და ან სხვა რამე კეთილ საქმეზე! მაშინვე მასხარად აგიგდებენ და ყველა თავისთვის წაიბუტბუტებს: „წადი, შვილო, და თუ გართობა გინდა ერთი ხელადა ღვინო დალიე, ან ბილიარდი ითამაშე, ან სუხრები გაახმე და გაერთობი"-ო. არ გეგონოთ, რომ გორს ინტელიგენცია არა ჰყავდეს. ინტელიგენცია კარგი ჰყავს, მაგრამ საქმის გაკეთებას ხელს უშლის ჩვენი ქართველური დაუდევრობა და უპირიანობა. ყველა ისე, როგორც გედი, კიბო და თევზი თავ-თავისკენ იწევს და ჩვენი ქალაქ გორიც წინ წაწევის მაგივრათ რჩება უკან და სცვივდება ფრთები. დრო არის ყურები გამოიჩიჩქნოთ, ეეე!... თვალები გავახილოთ და ვისმეს კეთილ საქმეში მივბაძოთ, თორემ საქმე ცუდათ არის!..

დისეურასპირელი საშა

*** **ს. ძიმითი** (გურია). **სკოლების საქმე.** როგორც მოგეხსენებათ ამ ჟამად მთელ საქართველოში პირველი ადგილი სწავლა-განათლების მხრივ გურიას უჭირავს. აქ ნაკლებათ არის ისეთი საზოგადოება, სადაც ორ-კლასიანი სასწავლებელი არ არსებობდეს. (ძლივს 5—6 იქნება ასეთი საზოგადოება). ჩვენს სოფელში ყველაზე უწინ იქმნა დაარსებული ერთ კლასიანი სამინისტრო სკოლა, რომელმაც დიდად შეაყვარა თავი მკვიდრთ. ამ ჟამად კი ჩვენს საზოგადოებაში არსებობს სამინისტრო სკოლები: ერთი ორ-კლასიანი—სასამართლოის ეზოშია სოფ. ბაილეთში, მეორე ერთ-კლასიანი — პირველიდან ვერს ნახევარის სიშორეზე სოფ ძიმითში, ამ სკოლის ორ-კლასიანად გადაკეთებაზე უკვე განაჩენია შემდგარი და დღე-დღეზედ მოველით დამტკიცებას. ასე რომ იმედი გვაქვს, მომავალი წლიდგან გვექნება ორი ორ-კლასიანი სიმინისტრო სკოლა. გვაქვს ორი სამრევლო სკოლა სოფ. სალაურში და მამათში. განზრახვა აქვთ მესამე ასეთივე სკოლა დაარსონ ს. ძიმითში. ეხლა ხან ითხოვეს, რომ განზრახული მეორე ორ-კლასიანი სამრევლო სკოლა ძიმითში იქმნეს დაარსებული, რისთვისაც სოფელი სწირავს 12 ქცევა მიწას და წლიურათ 350 მან. გარდა ამისა, მხატვარმა თავ. ივანე გიორგის ძე გუგუნავამ იკისრა უფასოთ ასწავლოს შაგირდებს მხატვრობა, ფერშლმა ან. მელიავამ დაივალა, უფასოთ ემსახუროს სკოლას და შიგირდებს. თუ ჩვენი შუამდგომლობა შეწყნარებულ იქმნა, მაშინ, მე მგონია, შვეიცარიასაც კი დაემზგავსოს ჩვენი პაწია საზოგადოება, რომელიც შესდგება სულ 350 კომლისაგან. არ შეგვიძლია არ ვუქოთ აქაურ მკვიდრთ ნდომა და მისწრაფება განათლებისადმი.

— **მადლობის გამოცხადება.** უგულითადესს მადლობას ვუძღვნით ბ. ლანჩხუთის განყოფილების ბოქაულს იოსელიანს, რომლის შემწეობით ჩვენი ორ-კლასიანი სკოლა გაუმჯობესებულ და შეკეთებულ იქმნა. რომ ამ ბოქაულს არა, არა მგონია, რომ ამ ზამთარში შენობა შეკეთებულიყო. სოფელს უნდოდა, ეს საქმე მომავალი ზაფხულისთვის გადაედო და ამ ზამთარში კი ჩვენი სკოლა ხოხოლასავით დაიშლებოდა, რადგან შარშანდებურად დიდ თოვლს მისი სახურავი ვერ გაუძლებდა. ჩვენში, შედარებით სხვა ახლო მახლო სოფლებზედ, შესამჩნევად მეტი თოვლი მოდის, მაგრამ ბ. იოსელიანმა ისე ტკბილად დაიყოლია ყველა, რომ შემდეგ ყველანი მისი მადლობელნი გახდა. ვერ დავივიწყებთ აგრეთვე მასწავლებლის ფარნაოზ ჭეიშვილის ღვაწლს, რომელიც დაუზარებლად შრომობს ჩვენი სკოლის კეთილდღეობისთვის.

— **ბიბლიოთეკა.** ბიბლიოთეკას მოკლებულნი სიხარულით ველოდით იმ დროს, როცა ნება-რთვას ჩვენში ბიბლიოთეკის გახსნაზე ვეღირსებოდით და, როგორც იქნა, ვეღირსეთ კიდეც. ჩვენში არსებობს წიგნთ-საცავ სამკითხველო დიდ ხანს დარჩებოდა ხმა ბიბლიოთეკის შესახებ, ხმალ [illegible]ლად, რადგან სკოლების ხარჯი ერთობ გაუმძიმდა სოფელს და ამას ზედ დაერთო კიდევ სხვა საბეგრო და სათემო მოთხოვნილებანი, ასე რომ საშვალო რიცხვით 30 მანეთამდე, შეუდგა თითო მეკომურს წლიური გარდასახადი და კიდეც ამიტომ ბიბლიოთეკის საქმეს ვერ დაუხვდათ, როგორც შეეფერებოდა, და ცოტა არ იყოს, კიდეც შეფერხდა ეს საქმე, მაგრამ ნათქვამია, „გაჭირვებულ კაცს ცამ გაუღო პირიო". სწორეთ ასეთ პირობებში კურნალათ გაგვიჩნდა ბ. პართენ გოთუა და მისი მეცადინეობით და საფასით მივიღეთ ახალი გამოცემები წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებისა და წიგნების გამომცემელი ამხანაგობისა, აგრეთვე მანვე დაგვიკვეთა გაზ. „ცნობის ფურცელი" და აღგვითქვა მუდმივი შემწეობა და მონაწილეობა. დიდი მადლობის ღირსია ბ. ტონუა, რომელსაც გული შესტკივა, ჩვენი მრავალ გზით დაცემულ და დატანჯულ ერისათვის და მისი სწავლა განათლებისათვის.

ვლადიმერ დ. ლომაძე

*** **სოფ. უკანეთი** (იმერეთი) **ქვით მოკლული.** აქ შემდეგი სამწუხარო ამბავი მოხდა: სოფ. გეგუთის მცხოვრებმა სირაძემ ქვით

მოჰკლა უკანეთში მცხოვრები რუსაძე. აი საქმე როგორ იყო. რუსაძის ყანაში ჩასულიყო სირაძის ცხენი. ყანის პატრონმა დაიჭირა ცხენი და აღარ დაანება სირაძეს. ამის გამო უკანასკნელმა თავისი ცხენის მოპარვა დააპირა. როდესაც მისი ძმა რუსაძეს ელაპარაკებოდა, ცხენი გააპარა და წაიყვანა შინისკენ. მაგრამ ამ დროს მას გამოედევნა რუსაძე ცხენის წასართმევად და კიდეც დაეწია შუა გზაზე. სირაძემ დაინახა თუ არა იგი, შესძახა ნუ მომდევო, მაგრამ რუსაძემ არ დაიშალა და როდესაც მიუახლოვდა ცხენს, სირაძემ ქვა აიღო და ესროლა მას; ქვა მოხვდა ყურის ძირში და იქვე სული კააფრთხობინა. სირაძე შეიპყრეს. გამოძიება სწარმოებს. მოკლულს დარჩა წვრილი ცოლ-შვილი უპატრონოდ.

— **მოსავალი.** აქეთ ღვინის მოსავალი ნაკლებია, ხოლო სიმინდი კი კარგად მოვიდა. ცუდი ამინდების გამო მოსავლის შენახვა გასჭირდა, ზოგს ჯერ ხელიც არ მიუყვია. ამ ბოლო დროს კარგი ამინდები დაიჭირა.

რომანეთელი სანდრო

*** **ქ. ოზურგეთი.** უხიდობა. ქ. ოზურგეთიდან 1 ვერსის მანძილზე მიმდინარეობს ორი მდინარე ბჟუჟი და აჭის წყალი. ამ მდინარეებმა ძალიან მოდიდება იციან ხოლმე შემოდგომობით და ხშირად მათში ბედაურსაც გაუჭირდება გასვლა. მიუხედავად ამისა ამ მდინარეებზე არ არის ხიდი. განსაკუთრებით მეტად საგრძნობია ხიდის უქონლობა ადგილობრივი სკოლის მოწაფეთათვის, რომელნიც სკოლაში წასვლის დროს ვერ ასცდებიან ამ მდინარეებს და არა ერთი ყოფილა მდინარეში მოწაფის დახრჩობის შემთხვევა. სწორედ ერთი ასეთი შემთხვევის მოწმე კინაღამ შევიქენი თვითონ მე 8 ოქტომბერს, როდესაც წყალი მოდიდებული იყო. ერთი პატარა მოწაფე ტანისამოსს იხდიდა წყლის პირად მეორე ნაპირზე გასასვლელათ და რომ შემთხვევით არ მიწრო მისთვის და მე არ გამეყვანა ხელით, დახრჩობა არ ასცდებოდა. დროა დვაბზუს და ლეხოურის მამასახლისებმა ერთმანეთის ჯიბრს თავი დაანებონ, მდინარეზე შესაფერი ხიდი გააკეთონ და ააცდინონ გაჭირვებას ის 20—25 ყმაწვილი, რომლებიც ს. ლეხოურიდან ოზურგეთში დადიან გაკვეთილებზე.

*** **სოფ. კულაში.** (ქვემო იმერეთი). გზების უვარგისობა. კულაში, თქვენც მოგეხსენებათ განთქმული სოფელია ქვემო იმერეთის მხარეში. იგი ქონებრივი შეძლებით არც ერთ მახლობელ სოფლებს არ ჩამოურჩება. სწავლა განათლება აქ არა ცუდს მდგომარეობაშია. რაც შეეხება კეთილ-დაწესებულებას, აქ მეტს შეხვდებით, ვიდრე სხვა სოფლებში. ხოლო გზების უვარგისობა ამ სოფელს ეკონომიურად უკან სწევს. ძალიანს ცუდ მდგომარეობაშია ხოლმე ზოგან აქაური გზები. წვიმიან ზამთრის დღეებში კაცს გზაზე ვეთ გაუვლია. ასეთი ტალახი და ტლაპო დგება, რომ მგზავრი იძულებულია უკან დაბრუნდეს. აქაურ გლეხკაცს იშვიათად შეხვდებით ხოლმე, რომ ხარი და ურემი არ ჰყვანდეს. წვრილი ქვაც ბევრი ეშოვებათ, მიგრამ ჩვენდა სამწუხაროდ ამათ თავიანთი გაჭირვება თითონვე ვერ მოუშორებიათ მიუხედავათ იმისა,რომ ადგილობრივი მამასახლისი ყურადღებას უნდა აქცევდეს აქაურ გზების უვარგისობას, მაგრამ ამის მაგიერ, რომ თავისი მოვალეობა შეასრულოს ის „პილატეს ცრემლს“ ეტანება. ძლიერ საჭიროა რომ ყოველივე ამას ყურადღებას მიაქცევდეს ვისიც ჯერ არს.

— **ქურდობისაგან დაფარვა.** კულაშის მცხოვრებნი მეტათ შეწუხებულნი იყვნენ ქურდობა მტაცებლობისაგან. ღამის ტყავი გააძრეს აქაურს მცხოვრებს როგორც როგორც ითხვეხს, აგრეთვე წვრილი პირუტყვებსაც ხშირად იტაცებდნენ ხოლმე. მაგრამ ამ ბოლო დროს ბედმა გაუღიმა იმათ, ცოტათი შესვენება იგრძნეს ამ ქურდ-ბაცაცა ვაჟბატონებისაგან. აირჩიეს „ხევისთავები“ (მცველები) რომელთა უფროსად დანიშნეს თ. მ. შ. მიქელაძე, რომელმაც თავისი მეცადინეობით შეღავათი მისცა საზოგადოებას ამ საქმეში. მადლობის ღირსია ეს პატიოსანი თავადი, რომ ის ყოველგზით კეთილ-მოღვაწეობას განურჩევლად წოდებისა საზოგადოებისთვის.

ნიკოშვილი

*** **პატარა ლიახვის ხეობა.** მოსავალი და ოსების თარეში. პატარა ლიახვის ხეობაზედ ნედლსიმინდს მოასწრო რთვილმა ძრიელ დააზარალა ხალხი. ოსების სოფლებში-კი კაკლის სიმსხო სეტყვამ აღარ მოუცადა რთვილსა, ასე აურევია მიწა და ჭირნახული ერთმანეთში, რომ ნახნავი ადგილიც აღარ ეტყობოდა. მოსავალი არ მოვიდა მთის ოსებში და ვაი ბარელ ქართველების ბრალი. დაიწყებენ ამ ზამთარში თარეშობას და ვინ იცის დარჩებათ საქონელი კიდევ ქართველებს? ჯერ კიდევ რიგიანად არ მოშივნიათ და ისეთი ამბავია პატარა ლიახვის ხეობაზედ, რომ, შენი საქონლისთვის თუ კუდზედ ხელი არ გიკიდია, მშვიდობით. სანამ საქონელს მოიკითხავდე, ხორცი ხაშლამათ არის ამოყრილი და მთელი გვარეულობა შეექცევა. კიდევაც რომ მივიდეს პატრონი და თავს დაადგეს თავის ძროხის ხორცს, რითა უნდა დაამტკიტოს, რომ ის ძროხა მისია. ოსები ეუბნევიან: ჩვენი ხარი დავკალით და ვჭამთო. ტყავი? სამთლითაც რომ ეძებოს, ვეღარ იპოვის! სდგას პატრონი, შესცქერის, შესცქერის და გამობრუნდება, რაც ენკენისთვის განმავლობაში, პატარა ხეობაზედ, სხვილი საქონელი დაკარგული, ძნელათ თუ დასთვლის ვინმე. მოცადსა და წვრილფეხს ხომ ანგარიში არ აქვს. ისე უსინიდისოთ დათარეშობენ, რომ აღარც დღე გააჩნიათ, აღარც ღამე, არც სოფელი და არც მინდორი. ტყეში თუ შევიდა საქონელი, ის პატრონისა აღარ არის.

მართალაძე

*** **ქ. ქუთაისი.** ორპირის ქუჩის უვარგისობა. ორპირის ქუჩის მცხოვრებლები მეტად შევიწროებულნი არიან ამ ქუჩის უვარგისობისა გამო. ამ ქუჩაზე გამუდმებით გაუვალი ტალახია, განსაკუთრებით წვიმის დროს და ხალხს ზედ გაუსვრელად ვერ გაუვლია, ხოლო ღამ ღამობით ფარნების სიცოტავის გამო თითქმის ყოვლად შეუძლებელი გამხდარა სიარული. ურიგო არ იქნება, რომ ქალაქის გამგეობა გადმოიხედავდეს ამ ქუჩისკენაც თავისი მოწყალეს თვალით.

*** **ნიგოითი** (გურია). უგზობა. საჭიროა ნიგოითის საზოგადოებამ გაიხსნოს თვის-მიერ უკვე დაწყებული, მაგრამ ამ ჟამად მივიწყებული გზა და გააკეთოს იგი ნიგოითის სადგურიდან ს. ჭანჭათის გზამდე. იმედია ნიგოითის მამასახლისი კ. გოგეშვილი მოაგონებს საზოგადოებას ამ გზას და მოათავებინებს დაწყებულ გზას.

ლავრენტი

## სამეცნიერო ცნობა

მუსიკა, როგორც სამკურნალო საშუალება. *) მუსიკის სიყვარული ზოგიერთ დაბადებიდგანვე თან დაჰყვებათ ხოლმე, პტოლომეის VI, ნერონს, კომმოდს, კარლ IX და ჰენრიხ VIII მუსიკა გატაცებით უყვარდათ, მხოლოდ კანტს პაპს, სვიფტს და ადდისონს სრულიად არა ესმოდათ რა. მოცარტს ჯიელობისას საშინლად ეჯავრებოდა ნაღარის ხმა. რუსსო იცნობდა ერთს ქალს, რომელსაც მუსიკის ხმა ისე ეჩვენებოდა, თითქო სჩმეტენ, ულიტინებენ და საშინელს სიცილს აიტეხდა ხოლმეო. შესანიშნავი ლიაბიში საშინელს მღელვარებას ეძლეოდა, როცა მუსიკის ხმა ესმოდა. რასაკვირველია, ყველაზე ერთნაირს არ ახდენს მუსიკის ხმა, მაგრამ ეგ იშვიათი მოვლენაა. მუსიკის ხმა ადამიანს სისხლის მოძრაობას უმატებს, ხასიათს უმშვიდებს, ანაზებს ადამიანის ბუნებას. კაეშანს უქარვებს, მხედარს ამხნევებს, როდესაც მტერზე იერიში მიაქვს. სულით ავადმყოფებს ჰკურნავს და თუ ხანდისხან არ მოქმედობს ის ამითი აიხსნება, რომ ან თავის დროზედ არ უხმარიათ ეს საშუალება და ან ისე. როგორც ავადმყოფს მოუხდებოდა.

ჩვენი გამოჩენილი პროფესორი თავ. თარხნიშვილი დასძენს, რომ მედიცინაში მუსიკა ერთი საუკეთესო საშუალებათაგანია ადამიანის სნეულებისაგან განსაკურნებლად, რადგანაც ყოველ გვარი ავადმყოფობა ხორციელი თუ სულიერი, სულ სულით ავადმყოფობათ ჩაითვლება. რა სხეულის ნაწილიც უნდა ასტკივდეს ადამიანს, სულ ტვინს ატყობინებს და როდესაც ტვინი სწუხდება, იტანჯება, მაშინ მთელი ადამიანის სულიერი ტანჯვაც იბადება. რადგანაც მუსიკა სულზედ სასიამოვნოდ მოქმედებს. მაშასადამე ყველა სულიერი და ფიზიკურის განკურნაც ისევ მუსიკის საშუალებითვე შეიძლება. «музыка, величайшій регуляторъ человѣческихъ настроеній и чувствованій, въ сферѣ, которыхъ и вращается наша физическая и психическая жизнь. დრო დადგება, როცა ყველა განათლებული ექიმები მუსიკის საშუალებით დაიწყებენ კაცობრიობის ტანჯვა-სნეულების განკურნასაო, აბოლოვებს პროფესორი.

ივ. კავთელი

*) იხ. «ცნ. ფურც.» № 653.

## გამოსადეგი ცნობა

მაუდის გაწმენდა. მაუდი ძალიან მტვერიანდება. რომ მაუდს კარგად გამოეცალოს მტვერი, აი როგორ უნდა მოიქცეთ: ქვა, ანუ აგური გაახურეთ ძალიან, დაასხით წყალი და აქედან წარმომდგარ ორთქლზე გეჭირათ მტვრიანი მაუდი. ორთქლი თურმე მტვერს გამოაცლის და მაუდი გაახლდებათ.

## სხვა-და-სხვა ამბავი

სწავლა-განათლება ავსტრალიაში. ავსტრალიის ახალშენები [illegible] ერთ სამთავროს შეადგენენ, რომელსაც ვიქტორია [illegible]: [illegible] 5 წლის იქ სულ 35 ახალშენი სცხ[illegible], ხოლო დღეს ერთ მილიონზე მეტი მცხოვრებია. სწავლა-განათლება ვიქტორიაში საყოვლ-

დებულთ და უფასოთ. 6—13 წლის ბავშვები ვალდებულნი არიან სასწავლებელში იარონ, მხოლოდ ის ბავშვები არიან სწავლისაგან განთავისუფლებულნი, რომლებიც ან სნეულები არიან, ან შინ საკუთარი აღმზრდელი ჰყავთ და ან კიდევ ისე მოშორებით არიან სასწავლებელზე, რომ ყოვლად შეუძლებელია იქიდან სიარული. ინსპექტორები არიან დანიშნულნი, რომლებიც თვალყურს ადევნებენ იმათ, ვინც სკოლაში შვილებს არ გაგზავნის, მაშინვე ოქმს უდგენენ და სამართალში აძლევენ. 1881 წ. იქ 1,711 სკოლა იყო, მხოლოდ 1889 წელს 2,062-მდე მიახწია. გარდა ამ სკოლებისა იქ არის დაარსებული საღამოს სკოლები უფროს მოწაფეთათვის. ნიჭიერის და საუკეთესო მოწაფეებისთვის დანიშნულია სტიპენდიები და ჯილდოები 100 350 მანეთამდე. სტატისტიკურ ცნობებიდან ჩანს, რომ 1890 წელს ვიქტორიაში 2,284 საკვირაო სკოლა იყო, რომელშიაც 143,570 მოწაფე სწავლობდა, ხოლო მასწავლებელთა რიცხვი 17,983 აღემატებოდა. ეს სასწავლებლები სხვადასხვა საზოგადოების ხარჯზე არსებობდა და მათი რიცხვი 24-ს უდრიდა. რაიცა შეეხება პროფესიონალ (ხელობის შესასწავლ) განათლებას, იქ ხუთი სამრეწველო სასწავლებელი არსებობს, რომელსაც ხაზინა ინახავს, 29 სამხატვრო სასწავლებელია, რომელშიაც 2000 მოსწავლეა, აქ განსაკუთრებით ხატვას და გეომეტრიას ასწავლიან. გარდა ამ სკოლებისა აქ არსებობს საღამოს სკოლები, სადაც განსაკუთრებით მუშა ხალხი იკრიბება განსავითარებლად. სამთო სასწავლებელი ოთხია. მელბურნში დააარსეს მუშა ხალხისთვის აკადემია, რომელსაც ერთმა კერძო პირმა 50,000 მან. შესწირა. თვითონ მუშა ხალხმა თავისსავე წრეში შეჰკრიბა 3,000 მ., მელბურნიის მოქალაქეთ შესწირეს 20 ათასი მან. და 1889 წელს მთავრობამ გადასდო ამავე აკადემიის სასარგებლოდ 85,000 მანეთი. რასაკვირველია, რომ იმ ქვეყანაში არავინ დარჩება უსწავლელი...

## წვრილი ამბავი

დაგეშილი ძაღლი. პარიზში პირუტყვთა მფარველ საზოგადოებამ ერთი დაგეშილი ძაღლი, რომელსაც სახელად „სულთანი“ ეწოდება, ვერცხლის საყელოთი დააჯილდოვა. ეს ძაღლი მეტად საოცრად არის დაგეშილი და განთქმულია თვისის სიჭკვიანითა და სიმშვიდით. ძაღლი კარგა მოზრდილია და დიდი ღონის პატრონიცა. რასაც პატრონი უბრძანებს, დიდის სინამდვილით და სისწრაფით ასრულებს. ამას წინად ამ ძაღლმა ერთი ქურდი დაიჭირა, მეორედ კიდევ კაცის მკვლელი. ერთხელ [illegible]თოსიდან ბავშვი გადაარჩინა დახრ[illegible] მდინარე სენის ახალი ხიდიდან კაცი გადავარდა, რომელსაც თავის დახრჩობა განეზრახა, მაგრამ შეცურდა ძაღლი მდინარეში და უვნებლად გამოიყვანა.

## ყურმოკრული საუბარი

ერთი დარბაისელი კაცი თავის მეგობარს სტუმრად ეწვია. ცოლ-ქმარი სტუმარს არ მოერიდნენ და საშინელი ჩხუბი ასტეხეს. სტუმარი შეეკითხა მასპინძლის მოხუცებულ მამას:

— მიბრძანეთ, თუ ღმერთი გწამთ, ამ სახლში რომელი ითვლება უფროსად?

— თუ შეიძლება ცოტა მოითმინეთ, ჩემო კარგო, სწორედ მაგ საგანზე აქვთ ეხლა ჩემს შვილსა და რძალს მსჯელობა!

—

— გაიგე, რომ ჩვენს გიორგის ბრილიანტები მოუპარავს და ციხეში ამოუყოფინებიათ თავი?

— რა სულელობა ჩაუდენია? განა არ შეეძლო ნისიად ეყიდნა და მერე აღარ მიეცა?

—

ერთს მებატონეს ძროხა დაეკარგა; მოსაძებნად წავიდა და თან მსახური იახლა. ცოტა მანძილი რომ გაიარეს, დაინახეს ტრიალს მინდორზე სიცხეპაპანაქებაში ძროხა წევს.

— რა სულელია! მე რომ ძროხა ვყოფილიყავი, წავიდოდი—სადმე ჩრდილში დავწვებოდი.

— რასაკვირველია, ბატონო, თქვენ რომ ძროხა ყოფილიყავით, უფრო მეტი ჭკუა გექნებოდათ!—მიუგო მსახურმა.

## დეპეშები

(რუსეთის დეპეშთა სააგენტოსაგან)

16 ოქტომბერი

**პარიზი.** სრული მშვიდობიანობაა, პარიზს ჩვეულებრივი სახე დაედო.

**პარიზი.** სასამართლოში გერენის საქმე ირჩეოდა და გადადებულ იქმნა ორის კვირით. დრიუმონმა, მილევუამ და დასიესმა, რომელნიც სასამართლოში დაესწრნენ, ხმაურობა ასტეხეს და სასამართლოს შენობაში დაიჭირნენ; მათ ას კაცამდე სხვები მიჰყვებოდნენ. შემდეგ ისინი საკასაციო პალატისაკენ წავიდნენ, მაგრამ დარაჯმა გზა გადაუღობა; მაშინ ბრბო დიდის ხმაურობით სასამართლოს დარბაზიდან გავიდა.

**პარიზი.** გაზეთები მთავარ მინისტრად დიუპუის და რიბოს ასახელებენ.

**ლონდონი.** „Daily Telegraph“-ს ატყობინებენ პეკინიდგან, რომ ყინეთის ჯარის-კაცნი თავს დაესხნენ ინგლისის რამდენიმე ინჟენერს ხან-კოუ-პეკინის რკინის გზაზე. ორი ინჟენერი დაჭრილია ერთი რკინის გზის მოხელე მოკლულია. პაოტანფუსთან ტელეგრაფის მავთულები გადაჭრილია.

**პეკინი.** დიპლომატთა კრებულმა დაადგინა მოითხოვონ,—დაუყოვნებლივ დათხოვნილ იქმნან ჯარის-კაცნი, რომელნიც თავს დაესხნენ ინგლისელ ინჟენრებს. ცუნგ-ლიამენმა მაშინვე შეასრულა ეს მოთხოვნილება. ინგლისის ელჩმა წინადადება შეიტანა, ჯარის-კაცნი დასაჯეთო. დედოფალმა ბრძანება გამოსცა,—დამნაშავენი დასაჯეთო.

**პარიზი.** შუადღემდე არავითარი უწესოება არ ყოფილა სასამართლოს შენობის მახლობლად. შენობის რკინის ალაყაფის კარები დაკეტილია. სასტიკი ბრძანებაა გაცემული. საკასაციო პალატა საქმეს შეუდგა შუადღისას. დარბაზი სავსეა; დამსწრეთა შორის არიან ქ-ნი დრეიფუსისა, ვექილები დემანჟი და ლაბორი. საქმის მომხსენებელმა წევრმა ბარდმა სიტყვა დაიწყო. მოაგონა-რა დამსწრეთ, რა მღელვარება გამოიწვია საქმის გადასინჯვამ, იმან დაიწყო ისტორიული აღწერა დრეიფუსის განსამართლებისა. ბარდი ამბობს, რომ სხვა და სხვა საშუალებას ხმარობდნენ საქმე რომ ხელმეორედ გასინჯულიყოვო. შემდეგ ბარდმა სთქვა, რომ პოლკოვნიკმა ანრიმ სიყალბე ჩაიდინა და მისი ჩვენება ყალბი კაცის ჩვენება არის, რომელსაც ეჭვის თვალით უნდა უცქეროდეთ; ეს ის საბუთია, რომელიც ეჭვს ჰბადებს დრეიფუსის დანაშაულობის შესახებ და რომელიც საკმაო, რომ საქმის გადასინჯვა გარდავსწყვიტოთ. აგრეთვე უნდა გამოძიებულ იქმნას, ბორდერო მართლა დრეიფუსის შედგენილია. ბარდმა დასძინა, რომ გამამტყუნებელს საბუთს მხოლოდ ბორდერო შეადგენს და ბორდეროს მეტი სხვა არაფერიო. ექსპერტების მომეტებულმა ნაწილმა გამოსთქვა დამნაშავეაო. კრება შეჩერებულ იქმნა.

**პარიზი.** კრება განაახლეს. ბარდი დიდხანს არჩევდა განცხადებას, რომელიც ეხება იმას, ვითომ დრეიფუსი გამოტეხილიყვეს. თუ გინდ დრეიფუსს განეცხადებიოს, რომ დანაშაულობა ჩავიდინეო, აქედან ის არ გამოდის, რომ იმან ქვეყანას უღალატაო, სთქვა ბარდმა. დრეიფუსი მუდამ ამტკიცებდა, დამნაშავე არა ვარო. ეგევე განაცხადა მან დილით, იმ დღეს, როცა მას ღირსება აჰყარეს. მე თუ საბუთის ქაღალდებს ვაძლევდი[illegible] სთქვა დრეიფუსმა, რომელთაც არ[illegible] მნიშვნელობა ჰქონია და არც ფა[illegible]სი, მხოლოდ იმიტომ, რომ Petit Bleu მეშოვნა, რომელიც პიკარს ჩაუვარდა ხელშიო. მაგრამ პიკარის შესახებ ლაპარაკი არ შემიძლიანო, სთქვა ბარდმა, რაგან ის გამოძიების ქვეშე არისო. შემდეგ ბარდმა ილაპარაკა მატიე დრეიფუსის მიერ ესტერგაზის დაბეზღების შესახებ; წაიკითხა ესტერგაზის წერილები სამხედრო მინისტრთან, რომლითაც ის ამბობს, რომ უდანაშაულო ვარო, ესტერგაზს მოწმედ მოჰყავს ერთი უცხო ქვეყნელი ხელმწიფე, რომლის დასახელება ბარდს უსარგებლოდ მიაჩნია. ბარდმა დასძინა, სამწუხაროა, რომ სამხედრო სასამართლომ ვერ გამოიკვლია პირბადიან ქალის შესახებ საქმეო.


## განცხადებანი

**კბილის ექიმი**

ალექსანდრე სოლოღაშვილი

მიიღებს ავადმყოფებს ყოველდღე, დილის 9—2 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე

მიხეილის ქუჩა № 32

(30—20)

## КУРСЪ БУХГАЛТЕРІИ,

состоящій изъ слѣдующихъ предметовъ:

1) **Бухгалтеріи** двойной итальянской по разнымъ отраслямъ тортовой промышленности,
2) **Коммерческой ариѳметики** (банковыя и торговыя операціи),
3) **Ариѳметики на счетахъ.**
4) **Коммерческой экономіи,**
5) **Торговыхъ и вексельныхъ узаконеній.**

преподаетъ **И. Я. БРОНЪ ФОНЪ-БРЕННЕРЪ**, гл. бухгалтеръ общ. взаимн. хоз. кредита и препод. школы садоводства.

**Плата за весь курсъ 60 руб.**

**Курсъ 3-мѣсячный**, при ежедневныхъ занятіяхъ въ теченіе 2-хъ часовъ, по вечерамъ. Начало занятій—1-е число каждаго мѣсяца.

**Аттестаты за успѣшныя занятія отъ реальнаго училища и школы садоводства.**

Составленная И. Я. Бронъ фонъ-Бреннеръ книга «Коммерческая ариѳметика» содержитъ въ себѣ VII отдѣловъ: 1) ариѳметич. вычисленія на счетахъ 2) монетныя вычисленія, 3) товарныя сдѣлки, 4) вексельныя операціи, 5) торговыя товарищества, 6) банки и ихъ операціи, 7) биржевыя операціи (520 задачъ и таблицы). Цѣна 2 руб. **Продается во всѣхъ книжныхъ магазинахъ и у автора: Михайловская ул., № 71, и Барятинская, сельско-хоз. банкъ.**

(100—55)


Дозволено цензурою. Тифлисъ, 17 Октября 1898 г. სტ. „ცნ. ფურც.“ (გ. გუნიასი), რედაქტორ-გამომცემელი ვ. ზენია